

“დამტკიცებულია”

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის
დირექტორის 2018 წლის 17.07 N 03-03 ბრძანებით

სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პრაქტიკის განხორციელების წესი

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი“) პროფესიული სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 1. სასწავლო პრაქტიკის ორგანიზება

1.1. პროფესიული სტუდენტების სასწავლო პრაქტიკა ხორციელდება კოლეჯის სათანადოდ აღჭურვილ სასწავლო ლაბორატორიაში;

1.2. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯს არ გააჩნია სასწავლო პრაქტიკის განხორციელებისათვის შესაბამისი გარემო, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკა ხორციელდება შესაბამის საწარმოში/ორგანიზაციაში;

1.3. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის განხორციელების მიზნით კოლეჯი შესაბამის საწარმოებთან/ორგანიზაციებთან აფორმებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს/ხელშეკრულებებს.

1.4. ორგანიზაციასთან პირადი შეთანხმების საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი, კოლეჯის სასწავლო ნაწილის უფროსი და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი აწარმოებენ მოლაპარაკებას, პროფესიული სტუდენტისათვის (სტუდენტებისათვის) სასწავლო პრაქტიკის გავლის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პირობების შექმნის მზადყოფნასთან დაკავშირებით.

1.5. სასწავლო პრაქტიკის ობიექტის წინასწარ შერჩევა ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერისა და სასწავლო ნაწილის უფროსის წინასწარი მოკვლევისა და ვიზუალური დათვლიერების საფუძველზე. ამასთან, სასწავლო პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უზრუნველყოფდეს შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პრაქტიკის სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს;

ბ) უზრუნველყოფდეს პროფესიულ სტუდენტებისთვის უსაფრთხო და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარემოს.

1.6. სასწავლო პრაქტიკის მიზნით საწარმოსთან/ორგანიზაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები.

1.7. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკაზე გაშვების შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, რომელშიც მიეთითება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, ჯგუფის ნომერი, სასწავლო პრაქტიკის ჩატარების თარიღი.

1.8. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო კურსის/მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი.

1.9. სასწავლო პრაქტიკისას პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს:

- ა) სასწავლო პრაქტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების დაცვის შესახებ სტუდენტთა წინასწარ ინფორმირებას;
- ბ) სასწავლო პრაქტიკის სრულყოფილ წარმართვას;
- გ) სასწავლო პრაქტიკაზე სტუდენტთა დასწრების აღრიცხვას;
- დ) სტუდენტებისათვის სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის შესასრულებლად საჭირო პირობების შექმნას და გაცნობას;

მუხლი 2. სასწავლო პრაქტიკის განხორციელების კონტროლი

1. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის განხორციელებაზე კონტროლს აწარმოებს კოლეჯის სასწავლო ნაწილის უფროსი, ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.

2. პრაქტიკის განხორციელებაზე კონტროლის მიზნით ხორციელდება შემდეგი:

- ა) პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტი და მისი დათვალიერება, შემოწმება, თუ რამდენად არის პირობები შექმნილი სტუდენტთათვის სასწავლო პრაქტიკის განსახორციელებლად;
- ბ) ინტერვიუ სასწავლო პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ მასწავლებელთან, სტუდენტებთან, საჭიროების შემთხვევაში ასევე სასწავლო პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელ პირთან;
- გ) სტუდენტების დასწრების აღრიცხვის შემოწმება;